

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

შორენა მომცემლიძე

მდინარე რიონის წყალსაცავების მოლამვის კვლევა და მასთან ბრძოლის მეთოდები

ინჟინერიის (0406) დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

ქუთაისი 2016

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ბადრი ბანძელაძე** - ტექნიკის
მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, ემერიტუსი

რეცენზენტები: **ომარ ზივზივაძე** - აკადემიური დოქტორი,
პროფესორი
ამირან ბრეგვაძე - აკადემიური დოქტორი, ასოც.
პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2017 წლის 12 იანვარს 14⁰⁰ საათზე
საინჟინრო - ტექნიკური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მი-
ერ შექმნილ სადისერტაციო კომისიის სხდომაზე. მისამართი:
4600. ქუთაისი. თამარ მეფის ქ. 59, I კორპუსი აუდ. №1114.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია აკაკი წერეთლის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში თამარ მეფის ქ. 59, I
კორპუსი აუდ. №1114.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2016 წლის 12 დეკემბერს

სადისერტაციო საბჭოს
მდივანი

_____ /ნ. სახანბერიძე/
(ხელმოწერა)

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

პრობლემის აქტუალობა. მდინარეთა ჩამონადენი, როგორც მუდმივად განახლებადი და ხელმისაწვდომი რესურსი, ფართოდ გამოიყენება ენერგეტიკაში, მშენებლობაში, ირიგაციაში, წყალმომარაგებასა და მეურნეობის თითქმის ყველა დარგში. მდინარეთა ჩამონადენზეა დამოკიდებული ზღვებისა და ოკეანების ნაპირების მდგრადობა და წონასწორობა. წყლის რესურსების მართვის ეფექტურობაზე და წყალსაცავების რეგულირების პროცესზე ბევრად არის დამოკიდებული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. ამიტომ მდინარეთა ჩამონადენის და წყალსაცავების გაწმენდილი მოცულობის რაციონალური გამოყენება არის მეტად აქტუალური გლობალური პრობლემა.

თანამედროვე ცივილიზაციის არსებობისათვის აუცილებელია წყლის ობიექტების ინტენსიური გამოყენება, რისთვისაც განუზომლად იზრდება ჰიდროლოგიურ ობიექტებზე ანთროპოგენური ზეგავლენის ფორმები და მასშტაბები. აქედან გამომდინარე წყალსაცავის გარემოზე ზემოქმედების შეფასება მეტად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

მდინარე რიონი საქართველოს უმნიშვნელოვანესი სამდინარო არტერიაა. მის აუზში განლაგებულია მრავალი წყალსაცავი, რომლის ექსპლუატაციის შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა მდინარის ჩამონადენი, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია მდინარის მყარი ნატანის რაოდენობის შემცირება, რაც ძირითადად განპირობებულია მდინარის წყალსამეურნეო გამოყენებით.

მდ. რიონზე მდებარე წყალსაცავების ექსპლუატაციის კვლევამ გვიჩვენა, რომ მათ დაკარგეს მოცულობის დიდი ნაწილი და ამის გამო მათი დღე-ღამური რეგულირების უნარი მკვეთრად დაეცა. ისინი ფაქტიურად აღარ ასრულებენ ენერგოსისტემის პიკური სიმძლავრეების მარეგულირებლის როლს, მუშაობენ ბუნებრივ ჩამონადენზე

და ამის გამო ზამთრის პერიოდში (ნოემბერი-მარტი) ენერგოსისტემა კარგავს პიკურ ენერჯიას.

უხვნატანიან მდინარეებზე მდებარე წყალსაცავების ექსპლუატაციის მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყოველი კონკრეტული წყალსაცავის მოლამული მასალის გასაწმენდად გამოიყენება კონკრეტული ოპტიმალური ხერხი.

წყლის რესურსების გამოყენებისა და მათი მართვის მახასიათებლების შესწავლისა და გამოვლენის დროს ვხვდებით ორ საინტერესო მხარეს - გარემოს დაცვისა და საზოგადოების შეთანხმების პრობლემას. ასეთი შეჯახების ძირითადი მიზეზი გამოიხატება იმაში, რომ საზოგადოება მიისწრაფის შეცვალოს ბუნებრივი წყლის მოცულობა, მუშაობის რეჟიმი და ხარისხი თავის ინტერესების სასარგებლოდ.

აქედან გამომდინარე, ჩვენს დროში ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს მართვის სივრცეში წყლის რესურსების წყალსამეურნეო სისტემების რეჟიმების ფუნქციონირების პარამეტრების ოპტიმალური სიდიდეების განსაზღვრის მეთოდების დახვეწა და სრულყოფა.

კვლევის მიზანი. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს მდ. რიონის მრავალმიზნობრივი დანიშნულების თანამედროვე მსხვილი წყალსაცავების სისტემების ფუნქციონირების კვლევა, წყალსაცავების სისტემების ოპტიმალური რეჟიმებით მუშაობის გაანგარიშების მეთოდების სრულყოფა.

წყალსაცავების სისტემების ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სხვადასხვა ბუნებრივ-სამეურნეო ცვლილების ანალიზი და შეფასების მონაცემების შექმნა. დასმული მიზნების რეალიზაციისათვის დაგვჭირდება ურთიერთდამოკიდებული ამოცანების გადაწყვეტა:

- მდინარის აუზის ბუნებრივი წყლის რესურსების ჰიდროლოგიურ-წყალსამეურნეო მართვის ასპექტების კვლევა.
- წყალსამეურნეო სისტემების ეფექტური ფუნქციონირების კვლე-

ვა.

- მრავალმიზნობრივი დანიშნულების წყალსაცავების სისტემების მოლამვის პროცესების მიმდინარეობის კვლევა.
- მრავალმიზნობრივი დანიშნულების წყალსაცავების სისტემების მოლამვის წინაღმდეგ ბრძოლის მეთოდების დამუშავება.

K კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის ობიექტს წარმოადგენს მდ. რიონის აუზის მრავალმიზნობრივი დანიშნულების წყალსამეურნეო სისტემები, რომლებიც შედგება ოთხი წყალსაცავისაგან: ლაჯანურჰესი, გუმათჰესი I, გუმათჰესი II, რიონჰესი და ვარციხჰესის კასკადის ჰესები I, II, III, IV.

სამეცნიერო სიახლე. სადისერტაციო სამუშაოს მეთოდოლოგიურ ნაწილს წარმოადგენს მდინარის აუზის წყლის რესურსების დაცვის და რაციონალური გამოყენების კვლევა, საზოგადოების და ბუნებრივი გარემოს ინტერესების დაცვის გათვალისწინებით.

სამუშაოს მეცნიერული სიახლე გამოისახება შემდეგში:

- შემუშავებულია მრავალმიზნობრივი დანიშნულების წყალსამეურნეო სისტემების მუშაობის რეჟიმების განსაზღვრის მეთოდოლოგია და ანალიზი.
- შემუშავებულია და რეალიზებულია წყალსაცავების სისტემების მოლამვის პროცესის კვლევა და დიაგნოსტიკა.
- განსაზღვრულია მდ. რიონის აუზის წყალსაცავის მოლამული ნაწილის მოცულობა.
- მიღებულია მდ. რიონის აუზის წყალსაცავების მოლამვის ინტეგრალური მრუდები.
- განსაზღვრულია ჰიდრომასის მოძრაობის მეთოდოლოგია მილსადენებში ჰიდროტრანსპორტის პირობებში.
- შემუშავებულია გუმათჰესის მონაკვეთზე მდინარე რიონის ღია კალაპოტის მოლამვის დიაგნოსტიკა.
- შემუშავებულია წყალსაცავების სისტემების მოლამვის წინაღმდეგ ბრძოლის მეთოდები.
- წარმოდგენილია მდ. რიონის აუზის წყალსაცავების გაწმენდის

მეთოდები.

- დადგენილი და გათვალისწინებულია მდ. რიონის საშუალო წლიური ხარჯების მნიშვნელობები წყალსაცავების ექსპლუატაციის პირობებში.
- გაანალიზებული და მეცნიერულად იქნა შეფასებული მდ. რიონის წყალსაცავების სისტემების ეფექტური ფუნქციონირება მათი 82-წლიანი მუშაობის მონაცემების მიხედვით.

შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომის შედეგების გამოყენება საშუალებას იძლევა მეცნიერული დასაბუთებით მოვახდინოთ მდინარე რიონის აუზის წყალსაცავების მოლამვის დიაგნოსტიკა და მათი გარეცხვის პრობლემების გადაწყვეტა.

წყალსაცავების გარეცხვის მიღებული მეთოდების გამოყენებით შეიძლება უზენატანიანი ანალოგიური მდინარეების წყალსაცავების რეგულირება და ნორმალური მუშაობის რეჟიმების უზრუნველყოფა.

ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ წყალსაცავების მოლამვის წინაღმდეგ ბრძოლის მეთოდებიდან ერთ-ერთ ხელსაყრელ მეთოდს წარმოადგენს მიწასაწოვი მანქანებით გრუნტის დამუშავება, წყალსაცავების ფსკერიდან სველი გრუნტის ამოწოვა და მისი მილსადენით ტრანსპორტირება მოსალეჟ ადგილამდე.

პირველად არის წარმოდგენილი წყალსაცავების მოლამული მასალისაგან გაწმენდის სიფონური მეთოდი, რომლის მუშაობის პრინციპი დამყარებულია სიფონის მუშაობის პრინციპზე, რომელიც გარდა მოკლე სიგრძისა, ხასიათდება, რომ დინების რომელიმე უბანზე იქმნება ვაკუმი. წნევათა სხვაობის სიდიდის შესაბამისად ხდება მოლამული მასალის მოძრაობა (ზედა ბიეფიდან ქვედა ბიეფში ან მოსალამი ადგილისაკენ) სიფონურ მილში.

მიღებული მეთოდიკის გამოყენებით შესაძლებელია მოლამული წყალსაცავების მუშაობის საპროექტო სიმძლავრეებისა და რეჟიმების აღდგენა და შენარჩუნება ისე, რომ ნაკლები იქნეს გარემოზე წყალსაცავების ზემოქმედების გავლენა და აღდგენილი იქნება მდი-

ნარეთა ნატანი მასალის ტრანსპორტირების ეკოლოგიური წონასწორობა.

ნაშრომის აპრობაცია. კვლევის ძირითადი შედეგების შესახებ მოხსენებული იყო:

1) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობისა და ტრანსპორტის დეპარტამენტის სამეცნიერო სემინარებზე (2009- 2016 წწ.),

2) В Россиской университете дружба народов. Москва. конференция динамика и термика рек, водохранилищ и прибрежной зоны морей. (РУДНИ) (25 ноября 2009 г.)

3) В Пермской государственной университете. Пермь, Международная научно-практическая конференция. Современные проблемы водохранилищ и их водосборов (26-28 мая 2009 г.),

4) В Пермской государственной университете. Пермь, Международная научно-практическая конференция. Современные проблемы водохранилищ и их водосборов (28-30 мая 2013 г.)

5) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე. მდგრადი ენერგეტიკა: გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები. (2015 წ.)

publikaciebi. დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულია 21 სამეცნიერო ნაშრომი. მათგან ძირითადი პუბლიკაციების (9) ნუსხა მოცემულია ავტორეფერატის ბოლოში.

სადისერტაციო ნაშრომის შინაარსი

შესავალში დასაბუთებულია პრობლემების აქტუალობა, განსაზღვრულია კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები, ნაჩვენებია მიღებული შედეგების საიმედოობა და პრაქტიკული ღირებულება. წარმოდგენილია მდ. რიონის წყალსაცავების მოლამვის კვლევისა და მასთან ბრძოლის მეთოდების აქტუალობა. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში წყალსაცავების მოლამვის

პრობლემატიკის კვლევის გაგრძელებას და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს წყალსაცავების რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას ეკონომიკაში.

ავტორი დიდი პატივისცემითა და მადლიერებით მოიხსენიებს პროფესორ ოთარ შაუთიძეს, რომლის მოწოდებამ და პროფესიულმა რჩევებმა განაპირობა წინამდებარე ნაშრომის შექმნა. მადლობას მოვახსენებ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივს თანადგომისა და დახმარებისათვის.

პირველ თავში მოცემულია წყალსაცავების სისტემების მუშაობის რაციონალური რეჟიმების განმსაზღვრელი მეთოდოლოგია. ბუნებრივად მდ. რიონის კალაპოტი ქმნის ჰესების მშენებლობის კარგ პირობებს. ამ ბუნებრივი პირობების გამოყენება წყალსაცავების შექმნისათვის ქვეყანას აძლევს სწრაფი განვითარების საშუალებას, როგორც მატერიალურად, ისე ეკონომიკურად. მაგრამ წყალსაცავების მშენებლობის დროს დაცული უნდა იყოს რაც შეიძლება ნაკლები ზემოქმედება გარემოზე.

განხილულია ჰესების პროექტირებისა და მშენებლობის თანამედროვე მიმართულებები. კერძოდ, მდ. რიონზე პროექტების მიხედვით ნამახვანის კასკადი მოიცავს სამ ჰესს – ტვიშის, ნამახვანის და ჟონეთის.

ნამახვანის კასკადი, რომელიც აშენდება ახლო მომავალში და შეემატება მდ. რიონის აუზის ჰესებს, გამოიწვევს რიონის აუზის არსებული წყალსაცავების მუშაობის რეჟიმს შეცვლას.

აქედან გამომდინარე, როდესაც საუბარია გუმათისა და ვარციხის კასკადის ჰესების წყალსაცავების ექსპლუატაციის ნორმალურ პირობებზე, საჭიროა განხილულ იქნას ნამახვანის კასკადის წყალსაცავების მდებარეობა და მათი მუშაობის პირობები.

ნახ. 1.1-ზე წარმოდგენილია მდ. რიონის ნამახვანის კასკადის ტვიშის კაშხლის ღერძი, სადაც უნდა აშენდეს წყალსაცავი, რომლის სრული მოცულობა ტოლია 31.1 მლნ. მ³, ნამახვანის კაშხლის წყალსაცავი, რომლის სრული მოცულობა ტოლია 12.5 მლნ. მ³-ის, ჟონე-

სებული.

მსოფლიოში ელექტროენერჯის მოხმარების ტემპები საკმაოდ მაღალია. მაგალითად, საერთაშორისო ენერჯეტიკული სააგენტოს (IEA) პროგნოზით, 2000 წლის შემდეგ ელექტროენერჯის მოხმარება 2010 წლისათვის 15 ტრილიონი კვტ.სთ-დან 21 ტრილიონი კვტ.სთ-მდე გაიზარდა და ზრდის ტენდენცია მომდევნო წლებშიც შენარჩუნდება. აქვე აღსანიშნავია, რომ CO₂-ის ემისიის წლიური მოცულობა 2009 წლისათვის 23.000 მლნ. ტონიდან 28.999 მლნ. ტონამდე გაიზარდა, რაც შემაშფოთებელ ტენდენციად არის მიჩნეული. ვინაიდან CO₂-ის ემისია ენერჯეტიკის სექტორში ძირითადად თბოსადგურების ფუნქციონირებასთან არის დაკავშირებული, აქედან გამომდინარე შესაბამისად, უფრო აქტუალური ხდება ჰიდრორესურსების გამოყენება.

ჰიდრორესურსების ათვისებისაკენ მისწრაფება ცხადი სახით არის ასახული მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ენერჯეტიკული სისტემების სტრუქტურაში. [The International Journal on Hydropower & Dams 1-ის] თანახმად, მსოფლიოს თეორიული ჰიდროპოტენციალი შეფასებულია 40 204 865 გვტ.სთ-ით, ტექნიკურად განხორციელებადი - 14 606 559 გვტ.სთ-ით და ეკონომიკურად განხორციელებადი - 8 721 093 გვტ.სთ-ით. სულ, მსოფლიოს მასშტაბით ფუნქციონირებს 25 000-ზე მეტი სხვადასხვა სიმძლავრის ჰესი. [Published/hosted by Aqua Media International. ISSN: 1352-2523. Trans Electrica Ltd., 2013 2]

შესწავლილია წყალსაცავების სისტემების მუშაობის რეჟიმების რაციონალური განსაზღვრის არსებული მეთოდები. დადგენილია, რომ წყალსაცავებში საშუალოდ ილექება მყარი ჩამონადენის 90-95%. ამის გამო წყალსაცავებში წყლის სასარგებლო მოცულობა თანდათანობით მცირდება.

მყარი ნატანი მასალის მოძრაობის ჰიდრავლიკური პირობების შესწავლა მთის მდინარეებზე დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამ მხრივ აღსანიშნავია ლ. გველესიანის, ნ. შმალცელის და ო. შაუთიძის, ნ.ბ.კერესელიძის, რ.ს.ჩალოვის, გ.ი.შამოვის, ვ. ვ. რომა-

შინსა და ზ. დ. კოპალიანის, ჯ.ვ. ნოსელიძის, კ. ი. როსსინსკის, შ. რ. პოზდნიაკოვს და ვ. ვ. რომანოვსკის, ტ. შ. მაჟიდოვის მიერ ნატურაში ჩატარებული კვლევები, რომლებმაც შეძლეს მდინარეთა კონკრეტული მონაკვეთისათვის დაედგინათ ფსკერული ნატანის ხვედრითი წილი ატივნარებულ ჩამონადენში.


მეორე თავი ეძღვნება მრავალმიზნობრივი დანიშნულების მდ. რიონის წყალსაცავების სისტემების მკვებავი მდინარეების ჩამონადენის ფორმირების ფუნფციონირების კვლევას და დიაგნოტიკას. მდ. რიონი ხასიათდება წყალდიდობებითა და წყალმოვარდნებით, რომელთა რეგულირება მოითხოვს მყარი და თხევადი ჩამონადენის მახასიათებლების საფუძვლიან ცოდნას.

მდ. რიონის ხარჯის შესახებ ინფორმაცია 1910–1993 წლებს შორის, დაფიქსირებულია ნამახვანის წყლის მონიტორინგის სადგურზე. საგუშაგო მოწყობილია მარჯვენა ნაპირზე, აღჭურვილია ლარტყით და წყლის დონეების თვითმწერით „ვალდაი“. თვითმწერი კუნძულებრივი ტიპისაა. 1954 წელს არსებული ხარჯის პირობები შეიცვალა შაორის ჰესისა და მდინარე დიდი ჭალას (შარაულას) გამო. შაორის ჰესის პროექტის განხორციელებასთან ერთად მდინარის კალაპოტში არსებული ნაკადი შეიცვალა 5 მ³/წმ-ით. მეორე მხრივ, ლაჯანურის წყალსაცავის მშენებლობის შემდეგ 1960 წელს, მდინარე რიონის კალაპოტში წყლის ხარჯი გაიზარდა 60 მ³/წმ-ით. რადგან ნაკადი მდინარე ცხენისწყლიდან იქნა გადმოყვანილი.


მდ. რიონის აუზის კასკადების წყალსაცავების მოლამვის მიმდინარე პროცესები ძირითადად დამოკიდებულია მკვებავი მდინარეების კალაპოტში დაგროვილი ნატანი მასალის მოცულობასა და მდინარეთა ნაკადის ტრანსპორტირების შესაძლებლობაზე. პრობლემის შესასწავლად განვიხილოთ მკვებავი მდინარეების ჰიდრომორფოლოგიური ხასიათი.

ჰიდროლოგიური მონაცემების მიხედვით წყალსაცავის კვეთში მდ. რიონის უხვწყლიანი წელია 1987 წ., მცირეწყლიანი კი - 1986 წ.


ნახ. 2. 1– 2.3-ზე მოყვანილია წყლის ხარჯები ზემოაღნიშნულ კვეთებში. ამავე ნახაზებზე ნაჩვენებია საშუალო დეკადური სიმ-
ღვრივები.



სურ. 2.1 მდინარე ცხენისწყალი (რცხმელური საგუშაგოს მონაცემებით)



სურ. 2.2 მდინარე ლაჯანური (ორბელის საგუშაგოს მონაცემებით)



ნახ. 2.3 მდ. რიონი (ნამახვანის საგუშაგოს მონაცემებით)

გუმათის წყალსაცავი წაგრძელებულია მდინარის ხეობის მიმართულ-
თულებით. უდიდესი სიგრძეა 11 კმ, სიგანე 60 მ-დან 550 მ-მდე.



ნახ.2.4 გუმათის წყალსაცავი ჰესის წყალმიმღების წინ

წყალსაცავის ნორმალური შეტბორვის დონეზე წყალსაცავის სიგრძე 5 – 7 კმ-ია. წყალსაცავში მინიმალური საშუალო დონე 199.5 მეტრია. ამ დონეზე წყალსაცავის სიგანე მხოლოდ 200-300 მეტრია. წყალმიმღები მუშაობს შეუფერხებლად, მუშაობის ისეთი რეჟიმია, რომ ნატანის მოძალებისთანავე ხდება ლოკალური გარეცხვები, იღება გამრეცხი ფარები და ნატანი პრაქტიკულად ტურბინაში არ ხვდება.

რიონჰესის სათავე ნაგებობის უბეში გისოსის გაჭედვა იწვევს წყლის გადაკეტვას ჰესისაკენ, იჭედება წყალსადენის მიმღები, ჰესზე შეიძლება გავიდეს 75 მ³/წმ წყლის ხარჯი. თუ წყლის ხარჯი საკმაოდ დიდია, მაგალითად, 250 მ³/წმ იღება გამრეცხი დიდი ფარები და ირეცხება კაშხლის მიმდებარე არე 20 – 30 მეტრის მანძილზე და ფაქტიურად ეს არე ყოველთვის დაუღეპავია, ვინაიდან პერიოდულად ირეცხება, ნატანის ჩამოსვლისთანავე.




ნახ. 2.5 რიონჰესის კაშხლის წყალსაცავის მოლამული მხარე

ვარციხის წყალსაცავის ძირითადი სასარგებლო მოცულობა მოლამულია. წყალსაცავის საშუალო დონეა 87.02 – 86.6 მ. დონის დამუშავება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ხარჯი წყალსაცავში 350 მ³/წმ-ზე ნაკლებია და საჭიროა სიმძლავრის გაზრდა.


მყარი ნატანის მოჭარბებული შემოსვლა წყალსაცავში ქმნის დამატებით სირთულეებს. თუ ვერ მოხერხდა სალექარის დროული გარეცხვა, ნატანი შედის არხის წყალმიმღებში. აზიანებს გამაცივებელ სისტემას, მაცივრების რადიატორები გაიბიდნებიან ნატანით და ხდება აუცილებელი მათი გარეცხვა წყლის მიმართულების შეცვლით. ასეთ დროს ხდება ჰესის გამორთვა.

ნახ. 2. 6-ზე მოყვანილია მდ. რიონი-ვარციხის წყალსაცავის კვეთებში 1986 და 1987 წლების წლიური ხარჯები და საშუალო დეკადური სიმღვრივები.




სურ. 2. 6 მდინარე რიონი (ვარციხის წყალსაცავის კვეთში)

ნახ. 2.7-ზე წარმოდგენილია მდ.ყვირილა-ზესტაფონის საგუმბაგოს კვეთში სიმღვრივეთა საშუალო დეკადური, მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები (გ/მ³) უხვწყლიანი 1987 წლის მონაცემებით.



ნახ. 2.7 სიმღვრივის საშუალო თვიური მნიშვნელობა

ნახ. 2.8-ზე წარმოდგენილია მდ. რიონი-საკოჩაკიძის საგუშაგოს კვეთში სიმღვრივეთა საშუალო დეკადური, მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები (გ/მ³) უზვწყლიანი 1987 წლის მონაცემებით.



ნახ.2.9 სიმღვრივეთა საშუალო დეკადური მნიშვნელობა

მესამე თავში შესწავლილია მდინარე რიონის აუზის კაშხლების სისტემების ფუნქციონირების ეფექტურობის ფორმირება. იგი დაიწყო 1923 წლიდან, როდესაც რიონის აუზში დაიწყო პირველი ჰესის (რიონჰესი) მშენებლობა. მდინარე ცხენისწყალის ყველაზე მეტი სიახლოვე მდინარე რიონის შუა წელთან ქმნიდა იმის საშუალებას, რომ განხორციელებულიყო ამ მდინარეთა ერთობლივი ჰიდრო-

გუმათის წყალსაცავი შექმნილია მდინარე რიონზე გრავიტაციული ტიპის ბეტონის კაშხალით. სადაწნეო ფრონტს წყალსაცავში ქმნის კაშხალი და ჰესის შენობა (გუმათჰესი -I). კაშხალის ტანში ოთხი 14 მეტრიანი წყალსაშვის მალია საერთო გამტარუნარიანობით 2560 მ³/წმ. ნორმალური შეტბორვის დონე 200 მეტრია.

რიონჰესის წყალსაცავი შექმნილია მდ. რიონზე დაბალზღურბლიანი ბეტონის კაშხლით. სადაწნეო ფრონტს ქმნის კაშხალი, სიფონური წყალსაგდები, ტივსავალი და წყალმიმღები. ნორმალური შეტბორვის დონე 158 მეტრია.




ნახ.3.3 რიონის ჰიდროკვანძი

ღია ტიპის 5 მალიანი წყალმიმღები წყალგამტარობით 80 მ³/წმ მდებარეობს კაშხლის მარცხნივ, მდინარე რიონის კლდოვან ნაპირზე. წყალმიმღების გაწმენდა ნალექისაგან ხდება გამრეცხი რაბებით, რომელთაც 70 მ³/წმ წყლის გაშვება შეუძლიათ. წყალმიმღებიდან იწყება უდაწნეო გვირაბი, რომლის სიგრძე 3860 მეტრი, ხოლო გამტარუნარიანობა 80 მ³/წმ-ია.

რიონის წყალსაცავი პრაქტიკულად მოლამულია, წყალსაცავის გარეცხვას აწარმოებენ სხვა წყალსაცავებთან ერთად.

ვარციხის წყალსაცავის ჰიდროკვანძის ნაგებობათა შემადგენლობაში შედის: სათავე ჰიდროკვანძი და ოთხი ერთნაირი ტიპის ჰიდროელექტროსადგური, რომლებიც განლაგებული არიან სადე-

რივაციო არხზე. თითოეული ჰესის საანგარიშო დაწნევა შეადგენს 15 მ, კასკადის დადგმული სიმძლავრეა 184 მგვტ.



ნახ. 3.4. ვარციხის წყალსაცავის გრძივი პროფილი

ვარციხის ჰესის სათავე კვანძი მდებარეობს მდინარე რიონის შენაკადების ყვირილასა და ხანისწყლის შესართავეების მახლობლად და უზრუნველყოფს დერივაციაში საანგარიშო ხარჯის 350 მ³/წმ მიღებას, ხოლო ქვედა ბიეფში 0.5 % უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯის - 3640 მ³/წმ გატარებას.

ნახ. 3.4-ზე წარმოდგენილია ვარციხის წყალსაცავის გრძივი პროფილი. ნახაზიდან ჩანს, რომ წყალსაცავი მოლამულია და მყარი ჩამონადენი განაწილებულია წყალსაცავში გრანულომეტრიული ფრაქციების მიხედვით. ფრაქციების სიმსხო კაშხალისაკენ თანდათანობით მცირდება. წყალსაცავში შეიმჩნევა დინება, რომელიც წარმოქმნის წყალსაცავში მდინარის კალაპოტს.

მეოთხე თავში შესწავლილია მდ. რიონის აუზის წყალსაცავების მოლამული მოცულობის დადგენის მეთოდები. ამ მიზნით სადისერტაციო ნაშრომის შესრულების დროს გამოთვლები ვაწარმოეთ მდ.რიონის 7.6 კმ-ის სიგრძის მონაკვეთზე. ყოველ პროფილზე ვსაზღვრავდით მოლამვის ფართობს (მ²)-ში და კვეთებს შორის მოლამვის ფართობს ვასაშუალოებდით ფორმულით:

$$F = \frac{F_n + F_{n+1}}{2} \quad (4.1)$$

სადაც F_n - წინა კვეთის მოლამვის ფართობი, მ²;

F_{n+1} - მომდევნო კვეთის მოლამვის ფართობი, მ².

იმისათვის, რომ მოცულობა განვსაზღვროთ, ეს სიდიდე უნდა გამრავლდეს კვეთებს შორის სიგრძეზე (სიგრძეს ვადგენთ ტოპორუკის საშუალებით)

$$l = \frac{l_{\text{მარჯ}} + l_{\text{მარცხ}}}{2} \quad (4.2)$$

სადაც $l_{\text{მარჯ}}$ - მარჯვენა ნაპირის სიგრძე, მ;

$l_{\text{მარცხ}}$ - მარცხენა ნაპირის სიგრძე, მ.

დანაღეჯი ნატანი მასალის მოცულობას ვანგარიშობთ ფორმულით:


$$W = F \cdot l, \quad (\text{მ}^3) \quad (4.3)$$

სადაც F - გასაშუალოებული კვეთის ფართობი (მ²); l - აღებულ კვეთებს შორის მანძილი, (მ).


ასე ვაგრძელებთ ანგარიშს დანარჩენი კვეთებისათვის.

განგარიშების შედეგად დადგენილია, რომ 2016 წლისათვის გუმათის წყალსაცავის მოლამვის მოცულობა შეადგენს 39.2 მლნ. მ³.


ნახ. 4.1-4.4-ზე მოყვანილია მოლამვის ინტეგრალური მრუდები ზემოაღნიშნული წყალსაცავებისათვის.




ნახ.4.1 ლაჯანურის წყალსაცავის მოლამვის ინტეგრალური მრუდი



ნახ 4.2 გუმათის წყალსაცავის მოლამვის ინტეგრალური მრუდი



ნახ.4.3 რიონჰესის წყალსაცავის მოლამვის ინტეგრალური მრუდი



ნახ.4.4 ვარციხეს წყალსაცავის მოლამვის ინტეგრალური მრუდი.

ცხრილში 4.1 წარმოდგენილი მდ. რიონის ფსკერული და ტივტივა ნატანის მონაცემები საგუშაგოების კვეთებში: აუზის ფართობი F კმ², მასალის საერთო ხარჯი ათასი ტ., ნატანი მასალის მოდული ტ/მ³.

ნატანი მასალის მოცულობა მდინარის წყალშემკრები აუზის ფართობის ზრდასთან ერთად იზრდება და როგორც ცხრილი 4.1-დან ჩანს, შავი ზღვის შესართავთან აღწევს მაქსიმალურ მოცულობას.

მდ. რიონის წყალსაცავების მოლამვის კვლევის დროს გამოვიყენეთ კომპიუტერული პროგრამის Mathcad 15 ბაზაზე სტატისტიკური მიდგომის მეთოდი მდინარის კალაპოტის მოლამვის გაანგარიშებისათვის.

ცხრილი 4.1

მდ. რიონის ფსკერული და ტივტივა ნატანის მონაცემები

№	დაკვირვების წლები	მდ. რიონის საგუშაგოები	შემკრები აუზის ფართობი, F კმ ²	ნატანი მასალის ხარჯი, ათასი ტ.	ნატანი მასალის მოდული, ტ/მ ³
1	1985	სოფ. უწერა	707	190	270
		ქ. ონი	1060	310	1060
		სოფ. ხიდიკარი	2010	850	420
		სოფ. ალპანა	2830	910	320
		სოფ. ნამახვანი	3450	1900	550
		სოფ. საკოჩაკიძე	13300	4700	350
		ქ. ფოთი ჩრდილოეთის ტოტი	13400	6600	490
		ქ. ფოთი სამხრეთის ტოტი	13400	-	-
		მდ.ლაჯანური სოფ. ორბელი	231	91	390
		მდ. ყვირილა სოფ. ზესტაფონი	2490	600	240
		მდ. ძირულა სოფ. წევა	1190	230	190

ღია კალაპოტების მოლამვის საკითხის ანალიზური კვლევა დაკავშირებულია ნაკადის ტურბულენტობასთან. საკითხის გადაწყვეტა ხდება რეინოლდს-ბუსინესკის მოდელის წესების თანახმად.

დასკვნაში აღვნიშნოთ, რომ გვაქვს რა ძვირადღირებული ექსპერიმენტული მონაცემების ტაქოგრამების ფართო სპექტრი, ზემომოყვანილი მსვლელობებით შეიძლება მიღებულ იყოს უფრო ფართო ინფორმაცია მდ.რიონის გრანულომეტრიული შემადგენლობის ცალკეული ფრაქციების წვლილის შესახებ მოლამვის პროცესში გუმათჰესის მიდამოებში.

საქართველოში 1989 წლიდან მიმდინარე პროცესების გამო მდ. რიონზე პრაქტიკულად ფუნქციონირება შეწყვიტა ჰიდროლოგიურმა სამუშაოებმა. შესაბამისად შეწყდა ჰიდროლოგიური მონაცემების მიღების პროცესი. აქედან გამომდინარე საჭირო გახდა ნატურაში დაკვირვება და მოდელირების მეთოდის გამოყენება.

მთის მდინარეთა შეუსწავლელ ან ნაკლებად შესწავლილ უბნებზე წყალსაცავების პროექტირებისას მყარი ნატანის საანგარიშო მახასიათებლები განისაზღვრება მოდელირების მეთოდით, რაც გულისხმობს განსახილველი მდინარის შესწავლილი და საანგარიშო კვეთების წყალშემკრები აუზების თანაფარდობის მიხედვით მყარი ნატანის ხარჯების თანაფარდობის განსაზღვრას:

$$R_x = R_0 \frac{F_x}{F_0} \quad (4.4)$$

სადაც - R_x და R_0 მყარი ნატანის საშუალოწლიური ხარჯებია, შესაბამისად საანგარიშო და შესასწავლ კვეთებში, (კგ/წმ); F_x და F_0 - მდინარის წყალშემკრები აუზის ფართობები შესაბამის კვეთებში, (კმ²).

ამ მეთოდის გამოყენებით მთის მდინარეთა მყარი ჩამონადენის საანგარიშო სიდიდეების დადგენის მართებულობის დასაბუთების მიზნით შევასრულეთ მდინარეთა მთისა და მთისწინა უბნებზე ტივტივა ნატანის ჩამონადენის პარამეტრების ანალიზი მდინარის სიგრძის წყალშემკრები ფართობის ცვლილების მიხედვით.

ანალიზი შესრულდა საქართველოს მდინარეების - ბზიფის, კოდორის, ენგურის, რიონის, აჭარისწყალის, მტკვარის, თეთრი არაგვის, ალაზნის და სომხეთის მდინარე პამბაკის მაგალითებზე.

შესრულებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ 0.1 და 1% უზრუნველყოფის მოდულური კოეფიციენტები საწყისი ჰიდროლოგიური რიგის სიგრძის მიხედვით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ხოლო 5, 10, და 20 % უზრუნველყოფისა - უმნიშვნელოდ.

ზემომოყვანილიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნად, რომ მდინარეთა მთის უბნის შეუსწავლელ და ნაკლებად შესწავლილ კვეთებში ტივტივა ნატანის 5, 10, და 20 % უზრუნველყოფის საშუალოწლიური ხარჯების დასადგენად შეიძლება ვისარგებლოთ ანალოგიის მეთოდით, ხოლო 0.1 და 1 % უზრუნველყოფისა და საშუალოწლიური ხარჯების დასადგენად ამ მეთოდის გამოყენება არასაიმედო და არასაკმარისია, ამიტომ ამ შემთხვევაში საჭიროა დამატებითი კვლევების ჩატარება.

მეხუთე თავში წარმოდგენილია მდ.რიონის აუზის წყალსაცავების სისტემების მოლამვის წინააღმდეგ ბრძოლის ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდები. ამოცანის ამოსახსნელად ვიყენებთ დიფუზიის განტოლებას.

$$U \frac{\partial C}{\partial x} = \frac{\partial}{\partial x} (K_x \frac{\partial C}{\partial x}) + \frac{\partial}{\partial y} (K_y \frac{\partial C}{\partial y}) + \frac{\partial(\omega C)}{\partial c} - \frac{\partial C}{\partial t} \quad (5.1)$$

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ასეთნაირად დასმული ამოცანის ამოსხნა შეიძლება გამოყენებულ იყოს მდ. რიონის აუზის წყალსაცავების გარეცხვის პროცესის ანგარიშისათვის.

გამრეცხი ნაკადის სიმღვრივის დასადგენად ვიყენებთ შემდეგ ფორმულას:

$$\rho = 8.97 \frac{\nu^3}{R \cdot \omega} \quad , \quad (5.2)$$

სადაც, ν - ნაკადის დინების საშუალო სიჩქარეა; მ/წმ

R - ჰიდრაულიკური რადიუსი, მ

ω - ტივტივა ნატანის ჰიდრაულიკური სიმსხოს საშუალო

შეტივნარებული სიდიდე, მ/წმ,

საანგარიშო (საშუალო მრავალწლიური) მონაცემები აღნიშნული პერიოდისათვის შემდეგია:

ლაჯანურჰესის წყალსაცავში - 6 მლნ მ³ ; გუმათჰესის წყალსაცავში - 1,5 მლნ მ³ ; რიონჰესის წყალსაცავში - 1,0 მლნ მ³; ვარციხის წყალსაცავში - 1,6 მლნ მ³. ზემოთ მოყვანილი სქემით რიონის წყალსაცავის გარეცხვისას მათი მოცულობები გაიზრდება შესაბამისად ლაჯანურის -1 მლნ მ³; გუმათის- 0,5 მლნ მ³ და ვარციხის-0,5 მლნ მ³-ით. ცხრილში 5.1-ში წარმოდგენილია მდინარე რიონის კასკადის წყალსაცავების ჰიდრავლიკური გარეცხვის ექსპერიმენტის წარმოების დროს დაღვრილი წყლის მოცულობის ზოგადი დახასიათება.

აღდგენილი (გარეცხილი) მოცულობების მოლამვის ვადა და შესაბამისად გარეცხვის ინტენსივობა განისაზღვრება ფორმულით:

$$W_{\text{გ}} = \frac{V_{\text{წ}} + V_{\text{ა}}}{V_{\text{წ}}} W_{\text{ბღ}} \left(1 - e^{-\frac{v_w}{W_{\text{ბღ}}} t} \right) - W_{\text{ბ}} \sum_{k=1}^n f(t-t_k) e^{-\frac{v_w}{W_{\text{ბღ}}}(t-t_k)} \quad (5.3)$$

ცხრილი 5.1

ჰიდრავლიკური გარეცხვის მახასიათებლები

№	წყალსაცავების დასახელება	წყლის ხარჯი, მ ³ /წმ	წყალსაცავში წყლის სავარაუდო მოცულობა, მლნ. მ ³	ჰიდრავლიკური გარეცხვის წარმოების დრო, სთ	წყალსაცავის დაცლის დრო, სთ	წყალსაცავის მოცულობა გაიზარდა, მლნ. მ ³ -ით
1	ლაჯანურის	30	6,0	108	24,0	1,0
2	გუმათი I	აღპანა, 70. გუმათი, 100.	1,5	67	2,0	0,5
3	გუმათი II	70	1,2	67	2,0	
4	რიონის წყალსა-	100	1,0	66	ჰესი გაჩერებულია	

	ცავი					
5	ვარცი- ხის	180	1,6	74	ჰესი გაჩე რებულია	0,5

ამ ფორმულაში შესაბამისი მონაცემების ჩასმის შემდეგ ვღებულობთ, რომ გარეცხილი მოცულობის მოლამვის ვადა გუმათის წყალსაცავში არის ერთი წელი.

ნაშრომში შესწავლილია ჰიდრომასის ტრანსპორტირება ჰიდრაგლიკურად (ჰიდროტრანსპორტი), რომელიც რელიეფის მდებარეობის დამოკიდებულების მიხედვით შეიძლება იყოს უდაწნეო და დაწნევიანი. უდაწნეო ჰიდროტრანსპორტირების შემთხვევაში ჰიდრომასის მოძრაობის კრიტიკული სიჩქარის გამოსათვლელად ვიყენებთ ფორმულას:

$$v_{კრ} = B^4 \sqrt{\frac{1}{F_r}} \cdot \sqrt{\frac{\gamma_{\delta} - \gamma_0}{\gamma_0} \cdot \left(\frac{\gamma_{\text{მჟ}} - \gamma_{\delta}}{\gamma_0}\right)^2} \quad (5.4)$$

სადაც $B = 3,85$ - კოეფიციენტი ა ქვიშა-ხრებიანი გრუნტისათვის, $B = 2,86$ - მსხვილნატეხებიანი მასალისათვის.

სადაწნეო ჰიდროტრანსპორტირების მეთოდს ფართოდ გამოიყენება პრაქტიკაში. ამ დროს მილსადენის განიკვეთი მთლიანადაა შევსებული და ჰიდრომასა გადაადგილდება წნევის ქვეშ. ჰიდრომასისათვის, როდესაც მოცულობითი წონაა $\gamma_{\delta} \geq 1.05 \text{ ტ/მ}^3$, კრიტიკული სიჩქარის განსაზღვრისათვის ვიყენებთ ა.პ. იუფინის ფორმულას:


$$v_{კრ} = 7,53 \sqrt{\frac{\omega D}{\sqrt{gd}}} \left(\frac{\gamma_{\delta}}{\gamma_0} - \frac{\gamma_0}{\gamma_{\text{მჟ}}}\right) \text{ მ/წმ} \quad (5.5)$$

სადაც D - მილსადენის დიამეტრია (მ), d - მყარი ნაწილის საშუალო შეწონილი დიამეტრი (მ), ω - ნაწილაკის ჰიდრაგლიკური სიმსხო მ/წმ, γ_{δ} - ჰიდრომასის (პულპის) მოცულობითი წონა ტ/მ³, წყლის მოცულობითი წონა ტ/მ³, მყარი მასალის მოცულობითი წონა ტ/მ³.

თუ $Q_{კრ} < Q_{\text{მოც}}$ ტრანსპორტირების რეჟიმი არამოლამვადია, ხოლო თუ $Q_{კრ} > Q_{\text{მოც}}$ გვექნება მოლამვის რეჟიმი.

ჰესების წყალსაცავების ნატანი მასალისაგან გაწმენდის ეკონომიკურ და ეფექტურ მეთოდს წარმოადგენს წყალსაცავების მოლამური მასალისაგან გაწმენდის ჰიდრომექანიკური მეთოდი.

პულპის წნევით ტრანსპორტირების დროს დამატებით ეწყობა მიწასაწოვი სადგურები და წნევითი პულპსატარები.



ნახ. 5.1. გრუნტის ჰიდრომონიტორით დამუშავება პულპის მიწასაწოვით ტრანსპორტირებით:

1. სატუმბო სადგური; 2. მილსადენი წყლის მისაწოდებლად;
3. ჰიდრომონიტორი; 4. მიწასაწოვი სადგური; 5. წნევითი პულპსადენი;
6. დასალექი უბანი.

წნევითი სატუმბო სადგური (წნევით 4-12 ატმოსფერო) წყალს აწვდის ჰიდრომონიტორებს, რომლებიც წყალსაცავში წყლის ჭავლით ფსკერულ ნატანს წარეცხავს, აქცევს მას ჰიდრომასად.

გრუნტის ჰიდრომონიტორით წარეცხვა ორი ხერხით ხორციელდება: შემხვედრი სანგრევით (ქვემოდან ზემოთ) და თანამგზავრული სანგრევით (ზემოდან ქვემოთ). მეორე ხერხის გამოყენება უპირატესად ეფექტურია შეუკავშირებელი გრუნტის დამუშავებისას.

შემუშავებულია წყალსაცავის მოლამული მასალისაგან წარეცხვის მეთოდიკა: მოცულობა, რომელიც მუშავდება მიწასაწოვის ერთ პოზიციაში დგომის დროს, გამოითვლება ფორმულით:

$$W_{სა} = b \cdot h \cdot l_{გაგ} \quad \text{მ}^3 \quad (5.6)$$

მიწასაწოვის საჭირო მწარმოებლურობა პულპის მიხედვით

$$Q_3 = \frac{\Pi(1-m+q)}{n \cdot K_{\text{გრ}}} \text{ მ}^3/\text{სთ} \quad (5.7)$$

მიწასაწოვის საჭირო დაწნევას პულპის მიხედვით ვანგარიშობთ ფორმულით:

$$H_3 = h_3 \cdot \gamma + 1,1K \cdot i \cdot L_3 + 2\text{მ} \quad \text{წყლის სვეტისა.} \quad (5.8)$$

მიწასაწოვის საჭირო სიმძლავრე

$$N = H_3 \frac{Q_3}{367\eta} \text{ კვტ} \quad (5.9)$$

აქ η - მიწასაწოვის მქვ ($\eta = 0.7$)

ვანგარიშობთ ჰიდრომონიტორის წყალმწარმოებლურობას Q'_3

$$Q'_3 = \frac{\Pi \cdot q}{n \cdot K_{\text{გრ}}} \text{ მ}^3/\text{სთ.} \quad (5.10)$$

ჰიდრომონიტორების ტექნიკური მახასიათებლები შევარჩიოთ ცხრილიდან.

ნაშრომში პირველად არის გაანგარიშებული ჰიდრომექანიკური მეთოდით გუმათის წყალსაცავის მოლამული მასალისაგან გაწმენდის პერსპექტივები.

გუმათის წყალსაცავის დღე-ღამური გასაწმენდი ნატანი მასალა გრუნტის მიხედვით მ³/დღე-ღამეში; გრუნტის სახე - მძიმე ქვიშნარი; გეოდეზიურ ნიშნულთა სხვაობა $h_3 = 23$ მ; ; პულპასადენის მთლიანი სიგრძე $L_3 = 450$ მ; სამუშაო საათები დღე-ღამეში $n = 15$ სთ; მიწასაწოვის მქვ $\eta = 0,7$, გრუნტის ფორიანობა $m = 0,19$, გრუნტის სიმკვრივე $\gamma_{\text{გრ}} = 1,85$ ტ/მ³; დანალექის სიმაღლე $h = 13$ მ; სანგრების სიგანე $b = 50$ მ; ვსაზღვრავთ დასამუშავებელ მოცულობას:

$$W_{\text{ს3}} = b \cdot h \cdot l_{\text{გად}} = 50\text{მ} \cdot 13\text{მ} \cdot 38\text{მ} = 24700 \quad (5.11)$$

მიწასაწოვის საჭირო მწარმოებლურობა პულპის მიხედვით :

$$Q_3 = \frac{\Pi(1-m+q)}{n \cdot K_{\text{გრ}}} = \frac{2350 \cdot (1-0,19+8)}{15 \cdot 0,676} = 2050 \text{ მ}^3 \text{ დღე-ღამე}$$

ვირჩევთ ГМСД – 300 მონიტორს, რომლისთვისაც გამოყენებული ნაცმის დიამეტრი ცვალებადობს 100-140 მმ საზღვრებში.


თუ დღე-ღამეში მიწასაწოვით გუმათის წყალსაცავის ზედა ბი-

ეფიდენ ქვედა ბიეფში გადავითანთ $Q_3 = 2050 \text{ მ}^3$ მაშინ ერთი წლის განმავლობაში წყალსაცავიდან გაწმენდილი იქნება

$$Q'_a = 2050 \text{ მ}^3 \cdot 360 \text{ დღე-ღამე} = 738000. \quad (5.12)$$

გუმათჰესის წყალსაცავის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა ორი აღნიშნული აგრეგატი. ორი აგრეგატის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა ტოლი იქნება $Q'_a = 1476 \text{ მლნ მ}^3$.

წყალსაცავის გარეცხვის მეტად მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს სიფონური მეთოდი. ამ მეთოდის მუშაობის პრინციპი დამყარებულია სიფონის მუშაობის პრინციპზე. მოკლე მილსადენების ჯგუფს მიეკუთვნება სიფონური მილსადენი, რომელიც, გარდა მოკლე სიგრძისა,



ნახ. 5. 2. სიფონის გაანგარიშების სქემა

ხასიათდება იმით, რომ დინების რომელიმე უბანში უთუოთ იქნება ვაკუუმი. ვაკუუმის სიდიდეს გამოვთვლით ფორმულით:

$$H_{\text{ვკ}} = H' + \frac{v_n^2}{2g} (a + \xi) \quad (5.13)$$



ნახ. 5.2. წყალსაცავის გარეცხვის იმიტაციური მოდელი

ნაშრომში განხილულია წყალსაცავების სისტემების ფუნქციონირების იმიტაციური მოდელი. (ამ მიმართულაბით გამოირჩევა არჩილ გეგუჩაძის შრომები). მილსადენების საშუალებით მოლამული მასალის გადატანა ზედა ბიეფიდან ქვედა ბიეფში ხდება წყლის ხარჯისა და სიფონში შექმნილი ვაკუმის მეშვეობით.

სადისერტაციო ნაშრომში განხილული წყალსაცავების მოლამვის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებიდან განსაკუთრებით ეკონომიურ და პრაქტიკულ მეთოდს წარმოადგენს წალსაცავების გაწმენდა სიფონური მეთოდით.

ძირითადი დასკვნები

1. მდ. რიონზე კვლევის მიღებული შედეგებიდან გამომდინარე ვასკვნი, რომ უხვნატანიან მდინარეებზე მდებარე წყალსაცავების ნორმალური ექსპლუატაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს წყალსაცავებიდან მყარი ნატანის სისტემატიური გატანა ან შეჩერება მდინარის წყალშემკრებ ფართობზე.
2. წარმოდგენილია ლაჯანურის, გუმათის, რიონჰესის და ვარციხის

წყალსაცავის კვეთში მდ. რიონის უხვწყლიან (1987 წ.) და მცირე წყლიან (1986 წ.) წლებში წყლის ხარჯები და საშუალო დეკადური სიმღვრივები.

3. წარმოდგენილია სიმღვრიეთა საშუალო დეკადური, მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები მდ. ყვირილა-ზესტაფონის საგუშაგოსა და მდ. რიონი-საკოჩაკიდის საგუშაგოს კვეთში სიმღვრივეთა საშუალო დეკადური, მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები გ/ მ³ უხვწყლიანი 1987 წლ-ის მონაცემებით.
4. შემუშავებულია მდ. რიონის აუზის წყალსაცავების მოლამული მოცულობის დადგენის მეთოდები. ამ მიზნით ნაშრომის შესრულების დროს გამოთვლები ვაწარმოე 7.6 კმ-ის სიგრძეზე. ყოველ პროფილზე განვსაზღვრე მოლამვის ფართობები (მ²) და მათ კვეთებს შორის მანძილის ნამრავლით მივიღე მონაკვეთის მოლამული მოცულობა, მონაკვეთების აჯამვით საერთო მოლამული მოცულობა. ჩემი გამოთვლებით 2016 წლისათვის გუმათის წყალსაცავის მოლამული მოცულობა შეადგენს 39.2 მლნ. მ³.
5. მიღებული შედეგების საფუძველზე ლაჯანურის, გუმათის, რიონჰესის და ვარციხის წყალსაცავის კვეთებში ავაგე მოლამვის ინტეგრალური მრუდები.
6. დადგენილია მდ. რიონის აუზის მთელ სიგრძეზე გრანულომეტრიული შემადგენლობისა და სიმკვრივის მნიშვნელობები. ნაწილაკების შემადგენლობა (%) და დიამეტრები (მმ). (რიონის საგუშაგოები: უწერა, ონი, ხიდიკარი, ნამახვანი, საკოჩაკიძე. ლაჯანური-ორბელი, ყვირილა- ზესტაფონი, ძირულა-წევა).
7. დადგენილია მდ. რიონის წყალშემკრები აუზის ფართობის მთელ სიგრძეზე მოძრავი ნატანი მასალის მოცულობის ცვლილების მნიშვნელობა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შავი ზღვის შესართავთან ნატანი მასალის მოძრავი მასის ინტენსიური მოცულობა აღწევს მაქსიმალურ მნიშვნელობას.
8. კომპიუტერული პროგრამის Mathcad 15 ბაზაზე სტატისტიკური მიდგომის მეთოდის გამოყენებით დავადგინეთ მდ. რიონის

წყალსაცავების მოლამული მასის მოცულობა. აღვნიშნოთ, რომ გვაქვს რა ძვირადღირებული ექსპერიმენტული მონაცემების ტაქოგრამების ფართო სპექტრი ზემომოყვანილი მსვლელობებით შეიძლება მიღებულ იყოს უფრო ფართო ინფორმაცია მდ.რიონის გრანომეტრიული შემადგენლობის ცალკეული ფრაქციების ცვლილების შესახებ დალამვის პროცესში გუმათჰესის მიდამოებში.

9. წარმოდგენილია გუმათჰესის წყალსაცავის მონაკვეთზე ღია კალაპოტის მოლამვის დიაგნოსტიკა. თეორიული გაანგარიშების (სამდინარო შეწონილი ნაწილაკების მოლამვის გამო) ჩატარება შეიძლება უკუმშველი სითხის მოდელის საფუძველზე. ბლანტი უკუმშველი სითხის მოძრაობის განტოლებას წარმოვადგინეთ ნავიე-სტოქ სამი განტოლების სისტემის
- $$\frac{\partial u_i}{\partial t} + u_\alpha \frac{\partial u_i}{\partial x_\alpha} = f_i - \frac{1}{\rho} \frac{\partial p}{\partial x_i} + \nu \frac{\partial^2 u_i}{\partial x_\alpha^2}; \quad \alpha, i = 1, 2, 3. \quad \text{და სიჩქარის სამი გეგმილის } (u_1, u_2, u_3) \text{ დახმარებით.}$$

10. მოდელირების მეთოდით დადგენილია მყარი ნატანის საანგარიშო მახასიათებლები, რაც გულისხმობს განსახილველი მდინარის შესწავლილი და საანგარიშო კვთების წყალშემკრები აუზების თანაფარდობის მიხედვით მყარი ნატანის ხარჯების თანაფარდობის განსაზღვრას.

11. გამრეცხი ნაკადის სიმღვრივის დასადგენად ჩემს მიერ შემოთავაზებულია შემდეგი ფორმულა:

$$\rho = 8.97 \frac{\nu^3}{R \cdot \omega}$$

12. პირველად არის წარმოდგენილი ჰიდრომექანიკური მეთოდით გუმათის წყალსაცავის მოლამული მასალისაგან გაწმენდის ანგარიში. თუ დღე-ღამეში მიწასაწოვით გუმათის წყალსაცავის ზედა ბიეფიდენ ქვედა ბიეფში გადავიტანთ $Q_3 = 2050 \text{ მ}^3$ მაშინ ერთი წლის განმავლობაში წყალსაცავიდან გაწმენდილი იქნება

$$Q'_a = 2050\text{მ}^3 \cdot 360\text{დღე-ღამე} = 738000 \text{ მ}^3/\text{წელი}$$

გუმათჰესის წყალსაცავის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა ორი აღნიშნული აგრეგატი. ორი აგრეგატის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა ტოლი იქნება $Q'_a = 1476 \text{ მლნ}\cdot\text{მ}^3$.

13. შესწავლილია და დადგენილია წყალსაცავის მოლამული მოცულობის გაწმენდის ჰიდრავლიკური, ჰიდრომექანიკური და სიფონური მეთოდები:

გაანალიზებულია წყალსაცავის გარეცხვის მეტად გავრცელებული ჰიდრავლიკური გარეცხვის მეთოდის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამ მეთოდის მუშაობის პრინციპი დამყარებულია წყლის დიდი მოცულობის გამოყენებაზე და წყალსაცავის მთელი მოცულობის დაცლაზე, რის შედეგად ჰესი გაჩერებულია სამი დღე-ღამის განმავლობაში.

შესწავლილი და გაანალიზებულია წყალსაცავის გარეცხვის ჰიდრომექანიკური მეთოდის დადებითი და უარყოფითი მხარეები. წყალსაცავის გაწმენდა ხორციელდება ჰიდროელექტროსადგურის მუშაობის პარალელურად, რაც ჰიდრომექანიკური მეთოდით გაწმენდის დადებით მხარეს წარმოადგენს. უარყოფით მხარედ ჩაითვლება დანადგარის გადაადგილების დრო.

პირველადაა წარმოდგენილი სიფონური მეთოდით წყალსაცავის გაწმენდის მეთოდი, რომელიც დამყარებულია სიფონის მუშაობის პრინციპზე, რომლის დროსაც ხდება წყალსაცავის ფსკერიდან გრუნტის ამოწოვა და მისი სიფონური მილსადენით ტრანსპორტირება კაშხლის ქვედა ბიეფში ან მოსალექ ადგილამდე. აღნიშნული მეთოდის უარყოფით მხარეს წარმოადგენს სიფონის მუშაობის დაწყება.

14. ნაშრომში შემოთავაზებულია გაანგარიშების პრინციპები და მდ.რიონის წყალსაცავების მოლამვის კვლევისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიღებული მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნას მოქმედი და აგრეთვე ახლადმშენებარე წყალსაცავების ანა-

ლოგიური ჰიდროკვანძებისა და ჰესების მშენებლობისა და პროექტების დროს.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი ასახულია შემდეგ პუბლიკაციებში

1. Носелидзе Д.В., Шаутидзе О.Д., Момцемлидзе Ш.А. Заиление водохранилища Гумати ГЭС и борьба с ним. /Тр. Международной научно-практической конференции. Том I. Пермь. 2009 г. с.108-111.
2. Носелидзе Д.В., Шаутидзе О.Д., Момцемлидзе Ш.А. Исследование гранулометрического состава донных отложений по длине р. Риони. /Тр. VII конференции Динамика и термика рек, водохранилищ и прибрежной зоны морей. Российский университет дружбы народов. Масква, 2009. с. 351-356.
3. შაუთიძე ო., ნოსელიძე ჯ., მომცემლიძე შ. ბორცვისებრი ფსკერული ნატანის მოძრაობა მდ.რიონის ქვედა წელში (ზემოჭალადიდთან). /„მეცნიერება და ტექნოლოგიები“. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო-რეფერირებული ჟურნალი, №1-3, 2011. თბილისი., გვ.52-55.
4. ნოსელიძე ჯ., შაუთიძე ო., მომცემლიძე შ. მდ.რაჩხის გამოყენება ქ.ქუთაისისა და კურორტ წყალტუბოს სასმელი წყლით მომარაგების მიზნით (წინასწარი კვლევის შედეგები). /„მეცნიერება და ტექნოლოგიები“. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო-რეფერირებული ჟურნალი, №4-6, 2011., თბილისი, გვ. 70-72.
5. მამასახლისი ვ., ნოსელიძე ჯ., მომცემლიძე შ. მდ. ჭოროხის ნაპირდამცავი ნაგებობების ექსპლოატაციის ანალიზი. / „მეცნიერება და ტექნოლოგიები“. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო-რეფერირებული ჟურნალი, №4-6, 2011,თბილისი., გვ.73-77.
6. ნოსელიძე ჯ., მამასახლისი ვ., მომცემლიძე შ. არაწარეცხვადკა-

ლაპოტიანი მდინარეების კრიტიკული შევიწროების სიდიდის განსაზღვრა ნაპირების ცალმხრივი გამაგრებისას. /„მეცნიერება და ტექნოლოგიები“. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო-რეფერირებული ჟურნალი, №4-6, 2012.,თბილისი., გვ.65- 69.

7. Носелидзе Д.В., Шаутидзе О.Д., Момцемлидзе Ш.А. Заиление водохранилище Ладжанурской ГЭС и методы борьбы. /Труды Международной научно-практической конференции, Современные проблемы водохранилищ и их водосборов. 28-30 мая 2013г., Пермь, с. 260- 263.
8. Бандзеладзе Б. Р., Момцемлидзе Ш.А. Диагностика заиливания открытого русла реки Риони в близи гуматской ГЭС. /Georgian engineering news., No. 2 (vol. 66), 2013. GFID GEN LTD, P. 94- 98.
9. ნოსელიძე ჯ., ბანძელაძე ბ., მომცემლიძე შ., კალაძე დ. ვარციხჰესის წყალსაცავის მოლამვა. /საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. „მდგრადი ენერგეტიკა: გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები“, ქუთაისი, აწსუ, 2015, გვ 61-66 .
10. ნოსელიძე ჯ., მომცემლიძე შ., კალაძე დ., გ.ნოსელიძე. მრავალ-მიზნობრივი დანიშნულების ჰესების წყალსაცავების სისტემების მოლამვა და მასთან ბრძოლის მეთოდები. /მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერნეტ-კონფერენციის შრომების კრებული „ბიოუსაფრთხო კვების პროდუქტთა პრობლემები და ბიზნეს გარემო“, ქუთაისი, 2016, გვ.125-131.
11. გეგუჩაძე ა, ნოსელიძე ჯ, მომცემლიძე შ, კალაძე დ, ნოსელიძე გ, ყურაშვილი ს, კამკამიძე თ. კაშხლიანი წყალსაცავის ფსკერის ნატანისაგან თვითგამწმენდი სიფონური მოწყობილობა. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“. საკანცელარიო № 182901 თარიღი: 2016-06-24.გამოგონების საგანაცხადო მასალების მიღების შესახებ. საიდენტიფიკაციო ნომერი: 14189/01.

MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA
Akaki Tsereteli State University

Faculty of Technical Engineering

Manuscript copyright

Shorena Momtsemlidze

**STUDY OF SILTING THE RIONI RIVER'S
RESERVOIRS AND METHODS TO COMBAT IT**

**The Author's Abstract
of the Doctoral Thesis Nominated for Ph Doctor Degree
in Engineering (0406)**

Kutaisi, 2016

MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

The given work is executed at the Department of Civil Engineering and Transport of the Faculty of Technical Engineering, at the Akaki Tsereteli State University.

Scientific Advisor: **Badri Bandzeladze**, Doctor of Technical Science, Professor, Emeritus of the Akaki Tsereteli State

Reviewers: **Omar Zivzivadze** – Doctor of Academical, Professor
Amiran Bregvadze – Doctor of Academical, Associate Professor

Defense of a thesis will be held 12 January 2017, 14⁰⁰ hours at the session of the Dissertation Commission created by Dissertation Council of the Faculty of Technical Engineering. Address: Auditorium №1114, Building I, 59 Tamar Mepe Street, 4600, Kutaisi.

Dissertation is available in the library of the Akaki Tsereteli State University at the address: 59 Tamar Mepe Street, 4600, Kutaisi

The Author's Abstract has been sent out “ 12 ” December 2016

Dissertation Council

Secretary _____ /N. Sakhanberidze/

General Description of Work

The urgency of the problem. River discharges, as the constantly renewable and available resources are widely used in power industry, construction, irrigation, water supply and in nearly all economic sectors. Stability and state of balance of sea and ocean coasts depend on river discharges. Economic and social development in society largely depends on the efficiency of water resource management and water reservoir regulation process. Thus, the rational use of river discharges and cleaned storage volume of reservoirs is a highly urgent and global problem.

Existence of contemporary civilization is impossible without intensive use of water bodies, for which the forms and scales of anthropogenic interference with hydrological objects are increasing immeasurably. In this context, assessment of the environmental impact of reservoir is a highly urgent problem.

The Rioni River is an essential riverine arteria of Georgia. There are arranged numerous reservoirs in its basin, as a result of operation of which river discharges have changed considerably, in both quantitative and qualitative terms. It is also important to reduce the amount of solid silt loads that is mostly conditioned by water-related use of rivers.

Studies of the Rioni River reservoirs have shown that they have lost a great part of their storage volume, and due to this, their everyday retention capacity has fallen sharply. In fact, they no longer perform the role of peaking capacity regulator, and they operate on natural river discharges, and because of this, in winter (November-March) the power grid loses the peak power.

Operation experience of reservoirs existing on the rivers abounding in silt demonstrates that cleaning of silted materials requires the use of a particular optimal way.

When using water resources and studying and determining their management parameters, we encounter two interesting aspects – environment and society. The main reason for such a collision consists in fact that the society seeks to change the volume, operating regime and quality of natural water in favor of its own interests.

Proceeding from this, one of the urgent problems is to upgrade and

improve the operating parameters of water-related systems.

Goal of Research. The goal of the proposed thesis work is to study the operation of the systems of large multi-purpose modern water reservoirs, as well as to improve methods for calculating optimal operation regimes of these reservoirs.

